შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (10.027)

4-11 ივნისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროში »ალოობისთვის» ემზადებიან

„ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2022“-ის, სოფლის განვითარების სააგენტოსა და შპს „მექანიზატორის“ წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღების სამუშაოები მომავალ თვეს დაიწყება. სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ხელისუფლება მზადაა ამ პროცესის შეუფერხებლად ჩასატარებლად.

მოსავლის აღებისა და დაბინავების პროცესში ფერმერებს დახმარებას „ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2022“ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გაუწევს.

„ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ალოობის აგროვადების დაცვით ჩატარება წარმოადგენს, რისთვისაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ“ - აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

წელს დედოფლისწყაროელი ფერმერები მარცვლეული კულტურების უხვ მოსავალს ელიან.

სამუხის ველზე ქურციკების მერვე თაობა გამოჩნდა

ეს პირველი ლიკლიკაა, რომელიც საქართველოში წელს დაბადებული ქურციკების თაობიდან გაგვეცნო. სამუხის ველზე ლიკლიკების გამოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ყოველი ახალი თაობა განაპირობებს ქურციკების სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ჩამოყალიბებას.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF კავკასიის ოფისი გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში გადაშენებული ქურციკების აღდგენის პროგრამას აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს გერმანიის მთავრობა (BMZ/KfW) და WWF-გერმანია.

ბუქარესტი თბილისის დაძმობილებული ქალაქი გახდა

თბილისს 22-ე დაძმობილებული ქალაქი ჰყავს - ბუქარესტში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თბილისის მერმა, კახა კალაძემ ბუქარესტის მერ -ნიკუშორ დანთან ერთად, თბილისისა და ბუქარესტის დაძმობილების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ინფორმაციას ამის შესახებ თბილისის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, მემორანდუმი საქართველოსა და რუმინეთის დედაქალაქებს შორის სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობას ითვალისწინებს: კულტურა, გამწვანება, ურბანული განვითარება, სპორტი, ტურიზმი, ეკონომიკა, სავაჭრო ურთიერთობები და სხვა.

ხელშეკრულების ხელმოწერამდე, კახა კალაძემ და ნიკუშორ დანმა ორმხრივი შეხვედრა გამართეს, სადაც ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებს ხაზი გაესვა, რომელიც საერთო ღირებულებებზეა დაფუძნებული.

გამოითქვა სურვილი, რომ როგორც თბილისში, ისე ბუქარესტში შესაბამისი ქალაქების სახელობის სკვერები გაიხსნას, ან მათი სახელები რომელიმე ქუჩას მიენიჭოს.

„დღეს მოგვეცა შესაძლებლობა, ბუქარესთან დაძმობილების მემორანდუმისთვის ხელი მოგვეწერა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებლობა გვექნება, სხვადასხვა მიმართულებით ვითანამშრომლოთ, როგორიცაა: სპორტი, კულტურა, ურბანული განვითარება, ტრანსპორტი. არსებობს მთელი რიგი მიმართულებები, სადაც ბუქარესტი წარმატებულია და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის გაზიარება ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. დღეს ასევე შესაძლებლობა გვექნება, შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის. მერთან იმაზეც შევთანხმდით, რომ თბილისისა და ბუქარესტის სახელობის ქუჩები, ან რეკრეაციული სივრცეები, სკვერები გაჩნდება, როგორც ბუქარესტში, ასევე თბილისში. ზოგადად, მიმაჩნია, რომ დაძმობილების ფარგლებში, იმის რესურსი გვაქვს, ურთიერთობები კიდევ უფრო გავაღრმაოთ, კიდევ უფრო საინტერესო გავხადოთ და ის გამოცდილება, რომელიც ბუქარესტს გააჩნია, თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის და ურბანული განვითარების თვალსაზრისით, გაზიარებულ იქნას“, - განაცხადა კახა კალაძემ.

ბუქარესტის მერმა იმედი გამოთქვა, რომ დაძმობილების ხელშეკრულების გაფორმება ორ ქალაქს შორის სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებას ხელს შეუწყობს.

„აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ჩვენი ქალაქებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბუქარესტსა და თბილისს ძალიან ბევრი საერთო აქვთ. არსებობს საერთო ინტერესები, როგორიც არის ურბანული განვითარება, კულტურა, ტრანსპორტი და ა.შ. იმედი მაქვს, რომ ურთიერთობების გაღრმავება ჩვენი მოსაზრებებისა და გამოცდილების გაცვლასა და შემდგომ თანამშრომლობაში დაგვეხმარება“, - განაცხადა ნიკუშორ დანმა.

ამასთან, კახა კალაძემ დაძმობილებული ქალაქის მერი, დელეგაციასთან ერთად, თბილისში მოიწვია. ბუქარესტის მერიაში გამართულ ღონისძიებას კახა კალაძესთან ერთად, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრები დაესწრნენ.

უნებართვოდ განადგურებულ ნარგავზე ჯარიმები დაწესდება

იმ შემთხვევაში, როცა უნებართვოდ განადგურებული მწვანე ნარგავის სახეობა და შესაბამისი ზიანი ვერ დგინდება, თითოეულ ნარგავზე ზიანის ოდენობად 5 000 ლარი განისაზღვრება. ამას „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიერ პარლამენტში უკვე ინიცირებულია.ამავე პროექტის მიხედვით, როდესაც დაზიანების შედეგად, ხეების წლიური რგოლების რაოდენობა ვერ დგინდება, აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა მწვანე ნარგავების დიამეტრების მიხედვით განხორციელდება. ასევე იზრდება აღდგენითი ღირებულების კოეფიციენტი.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების მიხედვით წესდება შესაბამისი შემასწორებელი კოეფიციენტები 6, 4, 5 და 3, რომლებზედაც აღდგენითი ღირებულების თანხა მრავლდება და მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა გამოითვლება.

ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ "რეფერენდუმის" ჩატარების განკარგულება" შეჩერდა

ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. პრეზიდენტმა, ალან გაგლოევმა რეგიონის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ ე.წ. „რეფერენდუმის" ჩატარების „განკარგულება" შეაჩერა.

გაგლოევი ე.წ. „განკარგულებაში" „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის შემდგომი ინტეგრაციის გზების შესახებ" მიუთითებს „რეფერენდუმზე წარდგენილი საკითხის სამართლებრივი შედეგების გაურკვევლობაზე", ასევე „იმ საკითხებზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის ლეგიტიმურ უფლებებსა და ინტერესებს ეხება, რეფერენდუმის ჩატარების შესახებ ცალმხრივი გადაწყვეტილების დაუშვებლობაზე".

ამასთან, გაგლოევის „დოკუმენტში" აღნიშნულია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაიმართოს კონსულტაციები რუსულ მხარესთან „სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის შემდგომ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მთელ სპექტრზე".

შეგახსენებთ, 13 მაისს ანატოლი ბიბილოვმა ხელი მოაწერა „განკარგულებას" ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ. „რეფერენდუმის" ჩატარების შესახებ.

„მაიმუნის ყვავილის" ვირუსის სადიაგნოსტიკოდ საქართველოში სპეციალური PCR ტესტი შემოვა

„მაიმუნის ყვავილის" ვირუსის სადიაგნოსტიკოდ საქართველოში სპეციალური PCR ტესტი შემოვა, რომელიც ვირუსს 2 საათში ამოიცნობს.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, PCR ტესტები ქვეყანაში, სავარაუდოდ, მომავალ კვირას შემოვა.

„ლაბორატორიული დიაგნოსტიკა დღესაც შეგვიძლია გენომის სექვენირებით, რომელსაც რამდენიმე დღე სჭირდება", - აღნიშნავს გამყრელიძე. მისივე განცხადებით, ქვეყანა „მაიმუნის ყვავილის" სამკურნალო მედიკამენტის მიღების თაობაზე განაცხადს გააკეთებს.

როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, მედიკამენტი ევროპის წამლების სააგენტოს მიერ ავტორიზირებულია. „რა თქმა უნდა, პრეპარატზე განაცხადს გავაკეთებთ. ევროპის წამლების სააგენტოს მიერ ავტორიზირებულია მედიკამენტი. სამინისტრო მუშაობს და ვფიქრობთ, რომ მედიკამენტი ქვეყანაშიც გვექნება. დღეს მაინც სიმპტომური მკურნალობა მიმდინარეობს. დღეს, საქართველოში „მაიმუნის ყვავილის" დიაგნოსტიკის საშუალება არის",- აღნიშნავს გამყრელიძე. მისივე თქმით, ჯერ ქვეყანაში „მაიმუნის ყვავილი" დადასტურებული არ არის და არც საეჭვო შემთხვევებზე მიმდინარობს კვლევა.

რეგიონებში გაზის ტარიფი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის იზრდება

2022 წლის პირველი ივლისიდან რეგიონებში გაზის ტარიფი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, ბიზნესისთვის იზრდება.

შპს „თელავგაზის", „სოკარ ჯორჯია გაზის", „საქორგგაზის" და „ინტერ გაზის" საცალო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, 1მ^3 ბუნებრივი გაზის ფასი განისაზღვრება 1,38 ლარით დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულის შესახებ განცხადებები თავად კომპანიებმა გაავრცელეს.

„ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებული რეალობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რაც განპირობებულია მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლებზე ფასების მკვეთრი ცვლილებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის ფასის კორექტირებაზე,"- ნათქვამია კომპანიების განცხადებაში.

ამასთან, მათივე ცნობით, უცვლელი რჩება საყოფაცხოვრებო ტარიფი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ არის დადგენილი 2023 წლამდე.

შეგახსენებთ, რომ „სოკარ ჯორჯია გაზმა", „თელავი გაზმა" და „ინტერ გაზმა" ტარიფი ბოლოს 2021 წლის პირველი დეკემბრიდან გაზარდეს. შედეგად, დღემდე - 1მ^3 ბუნებრივი გაზის ფასი ყველა ბიზნეს-აბონენტისთვის 1.15 ლარი იყო დღგ-ს ჩათვლით.

ცნობისთვის, „ინტერ გაზი" ბუნებრივ აირს აწვდის ახალციხის და ასპინძის რაიონებს, „თელავი გაზი" - თელავს და „სოკარ ჯორჯია გაზი" დანარჩენ საქართველოს, თბილისის გარდა.

მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს!

„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ - თქვა ილია ჭავჭავაძემ და ამ სიტყვებში მთელი კაცობრიობის სათქმელი ჩაატია. ბავშვობა უნებლიე ღიმილის, ბედნიერებისა და სიხარულის პერიოდია, როდესაც ყველა და ყველაფერი ბედნიერებას უნდა გგვრიდეს და ლაღად, უღრუბლო ცის ქვეშ უნდა ცხოვრობდე.

2022 წლის 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღის აღნიშვნა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში კონფერენციით დაიწყო. „ლიტერატურული დილა - მშვიდობა მსოფლიო ბავშვებს“ - ამ ლოზუნგითა და სახელწოდებით წარსდგა ცენტრალური ბიბლიოთეკა დამსწრე საზოგადოების წინაშე.

მანანა მაჭარაშვილი, **ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი**: „ძალიან დიდი პატივია მოეფერო პატარებს, ბავშვებს, რომლებიც მთელს საქართველოში ოჯახის კულტად არის ქცეული. ბევრჯერ გაგვიგია, ბავშვი ოჯახის სარკეაო, ბავშვის სული და გონება ყველაზე ანკარა წყაროზე სუფთაა. მშობელი ფიქრობს, შვილებს უზრუნველი მომავალი შეუქმნას, იზრუნოს მის აღზრდასა და განათლებაზე. ერთ პატარა ამბავს მოგითხრობთ: ომიანობის დროს, ერეკლე მეორე - პატარა კახი, ერთ ქართულ ოჯახში ღამის გასათევად შესულა თავისი ამალით. გლეხ კაცს სასურველი სტუმარი პატივით მიუღია. პურობის ჟამს აკვანში ჩაკრული ჩვილი ატირებულა. ოჯახი შეწუხებულა, მაღალი სტუმარი ვერ დაისვენებსო. ერეკლეს უთქვამს: აქ ჩემზე დიდი ეხლა ეგ არისო და პატარას მოფერებია. თავს არ შეგაწყენთ და გეტყვით, რომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1949 წლის ნოემბერში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დააწესა, რომელიც 1950 წლიდან აღინიშნება. გილოცავთ ყველა პატარას, უღრუბლო ცა და ბედნიერი ბავშვობა გქონდეთ“.

კონფერენციის მომხსენებელმა, ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ცეცელო ჯანაშვილმა მსმენელებს ბავშვთა ფუნდამენტური უფლებები გააცნო: „ბავშვი ჩვენი ქვეყნის მომავალია. მას შემდეგ, რაც ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე დაარსდა, მთელი მსოფლიო აღნიშნავს ამ თარიღს. ყველა ბავშვის უფლებაა, თანაბრად იყოს დაცული, მიუხედავად ეროვნების, კანის ფერისა და რელიგიისა. ბავშვებს აქვთ სიცოცხლის და გადარჩენის, სამედიცინო მომსახურებით, წყლითა და სანიტარული სისტემებით უსაფრთხო სარგებლობის უფლება. ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის, განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება. ბავშვებს აქვთ უფლება, დაცული იყვნენ ნებისმიერი სახის შეზღუდვებისა და ექსპლუატაციის, ომისა და გაჭირვებისგან. ბავშვებს აქვთ უფლება, გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი და მიიღონ სასურველი ინფორმაცია. 2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბავშვთა უფლებების კოდექსი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მისი მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვთა უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ. კოდექსით გაწერილია, რომ დოკუმენტმა უფლებების კუთხით ხელი უნდა შეუწყოს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა ღირსების დაცვა კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზება. ყოველ ბავშვს აქვს უფლება, მშობლების სიყვარულისა და ზრუნვის, ოჯახში ცხოვრებისა და აღზრდის, ბებიებთან, ბაბუებთან, და-ძმასთან და სხვა ნათესავებთან ურთიერთობის. ყველა ბავშვს აქვს უფლება, იყოს თავისი ქვეყნის სრულფასოვანი წევრი. ყველა ბავშვს აქვს უფლება, გაიზარდოს თავისუფალ ქვეყანაში, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელი სახლით, საკვებით და სამედიცინო მომსახურებით. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის აზრისა და რწმენის თავისუფლება და პატივი სცეს მას“.

ღონისძიებას ყველაზე პატარა სტუმრებიც ჰყავდა. მე-2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა კონფერენციაზე სიხარული, ბედნიერება და ღიმილი შემოიტანეს. მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, ლექსებმა, სახალისო გამოცანებმა მათთან ერთად დამსწრე საზოგადოებაც ჩართო აღნიშვნის პროცესში. მათ თავიანთი გულწრფელობითა და სილაღით გაუხალისეს და გაუფერადეს დღე, როგორც საკუთარ თავს, ისე შეკრებილ საზოგადოებას. ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა და მომხსენებელმა, ზაირა კაისაძემ ბავშვებს ლელა ცუცქირიძის „ანგელოზების საბავშვო ბაღზე“ მოუყვა, მისმა მოყოლილმა ანდაზებმა და სახალისო გამოცანებმა კი მთელი აუდიტორია აიყოლია და გაახალისა. კონფერენციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, **ნიკოლოზ ჯანიაშვილიც** მის მოადგილესთან **მალხაზ მერაბიშვილთან** ერთად, **მიხეილ ბახუტაშვილთან** და კულტურისა და ძეგლთა დაცვის უფროსთან, **ილია მარტყოფლიშვილთან** ერთად ესწრებოდა. „ძვირფასო მშობლებო და პედაგოგებო, ყველა ვთანხმდებით, რომ ძალიან კარგი და შესანიშნავი თაობა გვყავს. მინდა, რომ დღევანდელი დღე მივულოცო ჩვენს ბავშვებს, ვუსურვო ბედნიერი ბავშვობა და რაც მთავარია, დღევანდელი ნინოობის მადლი, ლოცვა და მფარველობა არ მოჰკლებოდეთ მთელი ცხოვრება არც მათ, არც მათ მეგობრებს, სრულიად მუნიციპალიტეტის ბავშვებს, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ბავშვებს. ისინი იმდენად საყვარლები და კარგები არიან, რომ ისინი უნდა იყვნენ კარგად. სწორად აღინიშნა, რომ სწორედ მათთვის უნდა იყოს მშვიდობა, უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, თუ როგორ შევუქმნათ კარგი პირობები მათ განსავითარებლად. სამწუხაროდ, ჩვენს მეზობლად ისეთი უბედურებები ხდება, ბავშვის განვითარებაზე, ლექსებზე და სიმღერებზე ვერავინ ფიქრობს. ღმერთმა ასეთი დღე ნურასოდეს დააყენოს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სამშობლოში და ნურც მსოფლიოში. დიდ მადლობას ვუხდი ამ პატარებს ასეთი კარგი მომზადებისთვის, მათ პედაგოგებს და მშობლებს, რომ ასეთი კარგი, ზრდილობიანი და კეთილი ბავშვები არიან.“

მიხეილ ბახუტაშვილი, დედოფლისწყაროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. მაშინ, ჩემს ბავშვობაში, სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ქართველ ბავშვებთან ერთად ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს, ლექსებს. ეს ძალიან დიდი ბედნიერება იყო. დღეს უკრაინაში ასობით ბავშვია გარდაცვლილი, ეს მსოფლიო კატასტროფაა. დღეს, ჩვენს ქვეყანაში უფრო და უფრო ლამაზი თაობა მოდის, რომელმაც ეს ომი არ უნდა ნახოს. ღმერთს ვთხოვ, რომ ჩვენს ქვეყანას უმრავლოს ასეთი კარგი თაობები. მინდა, ყოველ თქვენგანს მოგილოცოთ დღევანდელი დღე, დღეს არის ნინოობა, ჩვენს ბავშვებს ეწეოდეთ მისი მადლი და ძალი, გაიზარდნონ სასახელო, თავისუფალ და გამთლიანებულ საქართველოში. მშვიდობა ყოფილიყოს ამ ბავშვების, მათი აღმზრდელი მშობლებისა და ჩვენი მეგზური, ძვირფასო მეგობრებო“.

მალხაზ მერაბიშვილი: „გილოცავთ დღევანდელ დღეს. როდესაც გიყურებდით ასეთ კარგებს, ლამაზებს, ყველასა და ყველაფერს, რომ უხდებით, ჩვენც თავი პატარებად ვიგრძენით. გილოცავთ ნინოობას, ზაფხულის დადგომას და დაე, ეს დღე მშვიდობიანი ყოფილიყოს როგორც თქვენთვის ასევე, მთლიანად მსოფლიოს ბავშვებისთვის“.

ღონისძიება ბაღის აღსაზრდელებისა და დამსწრე საზოგადოების ერთობლივი, სამახსოვრო ფოტოს გადაღებით დაგვირგვინდა.

***

პირველი ივნისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები კულტურის სახლის ეზოში მხიარული სტარტების მონაწილეებმა გააგრძელეს. ერთმანეთს „გორგასლიანები“ და „ლომები“ ეჯიბრებოდნენ. გამამხნევებელი შეძახილები, ერთმანეთის გვერდში დგომა...გამარჯვებისა და გართობის სურვილიც ერთმანეთს ეჯიბრებოდა. ყველაფერი სულ რამდენიმე ქულამ და „გორგასლიანების“ ყურადღებიანმა თამაშმა გადაწყვიტა. ამან კი მათ ნანატრი გამარჯვება მოუტანა. მაგრამ... ეს არ იყო მხოლოდ მათი გამარჯვება. „ლომებმა“ თავისი წილი „ნადავლი“ მაინც წამოიღეს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრისგან სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულებს „ფასიანი“ საჩუქრები ხვდათ წილად, მაგრამ ეგ არაფერი... „წაგება და მოგება ხომ ძმები არიანო“ - ასე გაამხნევეს „ლომები“ „გორგასლიანელებმა“.

დაღლილი სპორტსმენები დასასვენებლად ასფალტზე ჩამოსხდნენ. თუმცა, მათ წინ მორიგი აქტივობა ელოდათ. ფერადი ცარცის ყუთებმა

/გაგრძელება გვ.8/

რა? სად? როდის? ფინალი გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშის -„რა, სად, როდის“ -ფინალი გაიმართა.

ტურნირი ტრადიციულია და ის დედოფლისწყაროელი ახალგაზრდის ნინო კიკილაშვილის ხსოვნას ეძღვნება. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქ. დედოფლისწყაროს N2 , ქვემო ქედის , ხორნაბუჯის, არხილოსკალოსა და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლების გუნდები. ტურნირზე ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა ორი გუნდით-„ბაბილონითა“ და „მთვარის რაინდებით“ იყო წარმოდგენილი. მემორიალური ჩემპიონატის გამარჯვებული ზემო მაჩხაანის გუნდი „ბაბილონი“ გახდა, მეორე ადგილი „მთვარის რაინდებმა“ დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილზე ქ. დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები გავიდნენ. თამაშის საუკეთესო მოაზროვნე „ბაბილონელი“ მარიამ ყოჩიაშვილი გახდა. გამარჯვებულებს დიპლომები და სამახსოვრო

საჩუქრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელებმა დააჯილდოვეს. ჩემპიონებს სამახსოვრო პრიზები ნინო კიკილაშვილის მშობლებმაც გადასცეს. ტრაგიკულად გარდაცვლილი ნინო კიკილაშვილის სახელობის ინტელექტუალური ჩემპიონატი „რა, სად, როდის“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებითა და მერიის აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა.

დედოფლისწყაროში პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

პოლიციელებს პროფესიული დღე ცეკვის სტუდიის აღსაზრდელებმაც მიულოცეს, რომლებმაც პოლიციელებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

უშუს გუნდის მორიგი წარმატება

30 მაისს დასრულდა ქუთაისის პირველობა უშუ-სანდაში, სადაც დედოფლისწყაროს უშუს გუნდმა მორიგი წარმატება მოიპოვა. ჩვენი გუნდის ანგარიშზე 6 პირველი ადგილია:

*ლუკა ლიქოკელი
*ნუგზარ ჭრელაშვილი
*გიორგი თარაშვილი
*ნინო მამადაშვილი
*ნიკოლოზ ხარაზიშვილი
*საბა ბუთხუზი

მეორე ადგილები კი დაიკავეს შემდეგმა სპორტსმენებმა:

*ლუკა ლეკაშვილი
*დაჩი ზოროღლიანი

*ნიკა ბერძენიშვილი
*დათო ბუაძე

აღსანიშნავია, რომ ეს უშუს გუნდის პირველი წარმატება არაა. ისინი მუდმივად ახარებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს თავიანთი გამარჯვებებით. მათ ანგარიშზე არაერთი ჩემპიონატის სხვადასხვა სინჯის მედლებია.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს დედოფლისწყაროს უშუს გუნდს მორიგ გამარჯვებას. უსურვებს მას შემდგომ წარმატებებსა და წინსვლას.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„მეც ისევე ვოცნებობ გამთლიანებულ საქართველოზე...“

იუბილარი ქალბატონი, რომლის შესახებაც დღეს მინდა გესაუბროთ, 70 წლის გახდა. თუმცა, ამ ასაკს ვერ იგრძნობთ ვერც მისი გარეგნობიდან, ვერც მისი გონებრივი თუ ემოციური შესაძლებლობებიდან. დინჯ ხასიათსა და ქცევის მანერაში აშკარად ჩანს მისი განსწავლულობა, კულტურა, აღზრდა, ძალიან ბევრი დადებითი თვისება და უნარ-ჩვევა. ის პედაგოგია დადებითი აურით, ტაქტით და მაღალი პროფესიონალიზმით. ეს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვიოლეტა დავთიანი გახლავთ.

ის 1952 წელს დედოფლისწყაროში, მაშინდელ წითელწყაროში დაიბადა. დედა, სონია საფაროვი, წითელწყაროელი იყო. მამა, ივანე დავთიანი, კი- სომხეთის პატარა ქალაქ კიროვაკანიდან, ახლანდელი ვანადორი. ის თავისი დროის ცნობილი მშენებელი ინჟინერი იყო, მხოლოდ მის მიერ აშენებულმა სახლებმა გაუძლო ძლიერ მიწისძვრას, რისთვისაც ის დააჯილდოვეს ქვეყნის მაღალი ხარისხის ჯილდოთი. ორწლინახევრის იყო უფროსი ვაჟი ვალერი, როდესაც სონია სამშობიაროდ მშობლების ოჯახს ესტუმრა და ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა-ვლადიმერი და ვიოლეტა. მალე სონიამ მეუღლის ოჯახს

რუსუდან გონაშვილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „ძალიან გამიმართლა, რომ იმ სკოლაში ვასწავლი, სადაც არამხოლოდ საუკეთესო მასწავლებლები, არამედ საუკეთესო ადამიანები მუშაობენ. ვიოლა მასწავლებელი ერთ-ერთი მათგანია. მუშაობა რომ დავიწყე, ის დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო დარგში. კარგად ვხედავდი, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, როგორი რუდუნებითა და სიყვარულით იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა. სხვათაშორის, ერთი სასაცილო ისტორია მინდა გავიხსენო, როდესაც სკოლაში მისვლისას ვიოლა მასწავლებლის გვარი გავიგე, ჩავთვალე, რომ სვანი იყო, როდესაც მოგვიანებით მითხრეს მისი ეროვნება, კიდევ უფრო მეტად დავაფასე იმის გამო, რომ სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, ბევრი ქართველი ვერ ისაუბრებს ისეთი გამართული ქართულით, ქალბატონი ვიოლეტა რომ საუბრობს. მისგან ბევრი რამე ვისწავლე, როგორც პროფესიული, ასევე ჰიროვნული. უპირობოდ, უსიტყვოდ, შეკითხვების გარეშე შეუძლია დაუდგეს ადამიანს გვერდით ჭირსა და ლხინში, ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები არაა, სრული სიმართლეა. შეუძლია, სხვისი სიხარულით გახარება და ტკბობა, არასდროს შემიმჩნევია მისთვის მისხალი შური, მიკერძოება, ეგოიზმი. ძალიან მიყვარს. მინდა, კიდევ ერთხელ გულწრფელად მივულოცო იუბილე და ბედნიერ წელთა სიმრავლე ვუსურვო“.

მიაშურა და... გაუძნელდა ახალგაზრდა ქალს სამი მცირეწლოვანი შვილის მოვლა. შევეშველებითო და სონიას მშობლებმა, პავაკანა აივაზიანმა და მელიქ საფაროვმა, ვიოლეტა, 8 თვის ასაკში, გასაზრდელად წითელწყაროში ჩამოიყვანეს. თავს დაჰფოფინებდნენ პაპა და ბებია, გოგონას მშობლების სიშორე რომ შეევსოთ. ისიც იოლად შეეგუა ახალ გარემოს და თავს ბედნიერად გრძნობდა სიყვარულით და მზრუნველობით გარემოცული. სკოლაშიც აქ, წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში, შეიყვანეს. მაშინ ძალიან „მოდაში“ იყო ეს სკოლა, ვისაც კი ოდნავ „თვალში წყალი ედგა“, ყველას შვილები იქ სწავლობდნენ, რადგან რუსულის კარგად ცოდნა ერთ-ერთი გასაღები იყო კარიერული წინსვლისთვის (!) პირველი მცდელობა დაებრუნებინათ „სამშობლოში“, უშედეგო აღმოჩნდა. კიროვაკანში წითელწყაროსადმი ნოსტალგიით შეპყრობილი გოგონა, მიუხედავად იმისა, რომ ტყუპისცალ ძმას გვერდზე მიუსვეს, მეორე გაკვეთილიდანვე სახლში გამოიქცა, იმავე ღამეს მაღალი სიცხე მისცა და... ისევ წითელწყაროში დაბრუნეს. მეორე „შეტევა“ მერვე კლასში მიიტანეს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ასე რომ, ქალბატონმა ვიოლეტამ თავისი გაიტანა და წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა. აქტიური და ინიციატივიანი იყო საზოგადოებრივ საქმიანობაშიც და ჩააბარა თუ არა ერევნის უნივერსიტეტის რუსულ-გერმანული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, მშობლიურ სკოლაში პიონერხელმძღვანელად დანიშნეს.

-ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა დაგამოწვევა, - იხსენებს ვიოლეტა,- რადგან 1500 მოსწავლით დატვირთულ სკოლაში 600 ბავშვიან პიონერულ ორგანიზაციას უხელმძღვანელო, ადვილი, ნამდვილად, არ არის (პიონერი კი არა, დღეს 600 მოსწავლე დიდი სოფლების სკოლებსაც კი ენატრებათ!). ქუხდა მაშინ ეს სკოლა რაიონში თავისი სპორტული მიღწევებით და სკოლისგარეშე მუშაობით. უამრავ ღონისძიებას ვატარებდით. ერთს გავიხსენებ: გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა კავშირი გამოთქვამდა პროტესტს ამერიკაში თავისუფლებისათვის მებრძოლი ფერადკანიანი ქალის ანჟელა დევისის ციხიდან განთავისუფლების მოთხოვნით. ისეთი დემონსტრაცია მოვაწყეთ, დიდ ქალაქებსაც კი შეშურდებოდა! ბევრი მაშინდელი მოსწავლე, ახლა ჩვენი სკოლის წამყვანი პედაგოგია და ხშირად იხსენებენ მაშინდელ მჩქეფარე სასკოლო ცხოვრების ეპიზოდებს. რა თქმა უნდა, დღესაც ბევრი საინტერესო აქტივობა ტარდება სკოლებში, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან ეპოქალურად განსხვავდებიან. სხვა დროა, სხვა მოთხოვნილებები წამოვიდა წინა პლანზე, სხვა ტექნოლოგიური შესაძლებლობებია. ყველა დროს თავისი ხაზი აქვს. ახლა ყველაფერი უფრო გლობალურია, დედამინა „დაპატარავდა“, ხელი ყველგან მიგვიწვდება.

ქალბატონი ვიოლეტა 1975 წლიდან დასაქმდა უკვე როგორც პედაგოგი-რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი. ნახევარ საუკუნეს გადასცილდა მისი სკოლაში მოღვაწეობა. აქედან 35 წელი სასწავლო სააღმზრდელო დარგში დირექტორის მოადგილედ იმუშავა და ვერ ნახავთ მოსწავლესა თუ პედაგოგს, თუნდაც დირექტორს, რომელთან საერთო ენის გამონახვაც მას გასჭირვებია.

- მაინც, რომელ დირექტორს გაიხსენებდით გამორჩეულად?

- ბევრ ხელმძღვანელთან ერთად მომიწია მუშაობა-ქალებთანაც, კაცებთანაც. ყველას თავისი მეთოდი ჰქონდა მართვის, ყველასგან ვისწავლე დადებითიც და უარყოფითიც-როგორ მოვქცეულიყავ და როგორ არ უნდა მოვქცეულიყავ, მაგრამ გამორჩეული მათში მაინც ხარლამპი კანიდი გახლდათ. სასწაულად შრომისმოყვარე, წინდახედული, თავისი საგნის (ფიზიკას ასწავლიდა) ღრმად მცოდნე, კეთილშობილი ადამიანი, ერთდროულად მკაცრი და მომთხოვნიც და ჰუმანური და დამთმობიც. მისთვის გამოუვალი სიტუაცია არ არსებობდა. სწორედ ეს ვისწავლე მისგან - უმტკივნეულოდ გამოსავლის მოძებნა, რაც ხელს მიწყობს არა მხოლოდ მუშაობაში, არამედ ცხოვრებაშიც. მადლობელი ვარ დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდა დირექტორის მამუკა ყავრელიშვილსაც. იმედი მაქვს, მის ხელში სკოლა მეტ წარმატებას მიაღწევს. ჩვენი სკოლა მალე 120 წლის გახდება. მას საიუბილეოდ კარგი, ხარისხიანი და სრულყოფილი შეკეთება და რემონტი სჭირდება. მართალია, ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა წლებში, მას ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტები, მაგრამ მაინც შელახულია მისი იერ-სახე. სწორედ იმის იმედი მაქვს, რომ მამუკა, ზემდგომი ორგანოების დახმარებით, ამ საქმეს იტვირთებს და წარმატებითაც გაართმევს თავს.

ვიოლეტა დავთიანმა 2010 წელს საერთიფიკაციო გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სკოლის ქართულ სექტორში რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად გადავიდა. 2021 წელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვა. **„მადლობა ჩემს პედაგოგიურ კოლექტივს, რომელთან ერთადაც გავიზარდე და ბევრი თაობა გამოვზარდე“**,-ამბობს იგი და მისი სიტყვები გულწრფელია. **„თუ ბავშვი არ გიყვარს, პედაგოგობაზე ოცნებაც კი დანაშაულია!“** - ეს მისი ცხოვრების მთავარი ხაზია.

-ქალბატონო ვიოლეტა, დღეს სიტუაცია რუსეთთან მიმართებაში უაღრესად დაძაბული და უარყოფითია მისი უკრაინაში სისხლისმღვრელი ომის გაჩაღების და ზოგადად, მისი აგრესიული პოლიტიკის გამო. ბევრი ადამიანი „მოითხოვს“ რუსული ენის იგნორირებას, მას „მტრის ენას“ უწოდებენ და ასე შემდეგ. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, იგრძნობა ეს სკოლაში ბავშვების, თუნდაც მშობლების მხრიდან?

-თუ ბავშვთან ნორმალური ურთიერთობა შეგიძლია, ის არასოდეს იტყვის უარს საგნის შესაწავლაზე, თუნდაც რუსული ენა ერქვას მას. ენა ცოდნაა და მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს პოლიტიკასთან. ამ საკითხს ძალიან ფრთხილი და ფაქიზი მოპყრობა სჭირდება მასწავლებლისგანაც და მოსწავლისგანაც. ზოგადად კი, მოსაზრება არ ვისწავლოთ „მტრის ენა“, საფუძველს მოკლებულია, რადგან მტრის ენის ცოდნა მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი დიდი იარაღია. თუ შენ არ გესმის, რას ლაპარაკობს ის, ჩათვალე, რომ გაუგებრობაში ხარ მოხვედრილი. ბრძნული გამონათქვამია-რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარო. განა დოსტოევსკი, პუშკინი, ჩეხოვი და სხვა ბევრი რუსი კლასიკოსი მხოლოდ რუსეთის საკუთრებაა, ისინი მსოფლიო მონაპოვარია და მათ მიერ წინ წამოწეული პრობლემებიც საკაცობრიოა, გლობალურია და ამას ამ ომთან და პუტინის პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს, მათ ეროვნება არ აქვთ. საზოგადოებამ დაბადა ჰიტლერიც, სტალინიც, პუტინიც, სწორედ საზოგადოებამ არ უნდა მისცეს საშუალება დიქტატორად იქცეს მმართველი, მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მასების აზრს და ქმედებას, მაგრამ უკვე გადიქტაქტორებულ ქვეყანაში არის შიში, რომელიც ან აჩუმებს პიროვნებას, ან განაშორებს და ლტოლვილად აქცევს მას. სიტუაცია ძალიან მძიმეა, რას შეძლებს პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი რუსი ერისა, ძნელად პროგროზირებადია, ერთი კი ცხადია-საჭიროა მისი აქტიურობა! ვისურვოთ ამ ომის მალე დამთავრება, რომ ის არ გაფართოვდეს ტერიტორიულად და ჩვენც არ მოვყვეთ ამ სისასტიკეში, სიფრთხილე გვმართებს, რადგან ეს ჩვენთვის სავალალო შედეგის მომტანი იქნება. ომს არავითარი გამართლება არ აქვს!

-თქვენ, სხვა ერის წარმომადგენელი, როგორ გრძნობთ თავს საქართველოში?

-მე საქართველოში დავიბადე და გავიზარდე და არასდროს, ჩემი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე, არ მიგრძვნია, რომ სამშობლოში არ ვცხოვრობ, რომ მე ამ ქვეყნის შვილი არ ვარ. არც ერთ ინსტანციაში, არც სამეზობლოში, არც კოლეგებთან, ამხანაგ-მეგობრებთან ურთიერთობაში, მე ეს არ მიგრძვნია. ამას, გარკვეულწილად, ჩემი განწყობაც განაპირობებდა, ალბათ. მე არასოდეს ჩამითვლია თავი უცხოდ, მე ამ ქვეყნის შვილი, ამ ქვეყნის ნაწილი ვარ, ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელსაც უყვარს, სტკივა და უხარია ეს ქვეყანა. იმას, რომ რუსეთი ოკუპანტია, ვაღიარებ, ვგმობ და მეც ისევე ვოცნებობ საქართველოს გამთლიანებაზე, როგორც ნებისმიერი ქართველი, რადგან ჩემი სამშობლო საქართველოა. მე ნახევარი საუკუნე ვიშრომე ამ ქვეყანაში და სათანადო დაფასებაც მივიღე - მაქვს უამრავი სიგელი, დიპლომი, მადლობის ბარათი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია. 2018 წელს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე გავხდი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მერს-ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს - ნუგზარ პაპიაშვილს, რესურცენტრის დირექტორს-ეთერ ზურიკაშვილს, რომ ჩემი ყოველი ნაბიჯი, ჩემი შრომა დაფასდა.

-ამბობენ, რამდენი ენაც გინდა ისწავლო, სიზმარს მშობლიურ ენაზე ხედავო, რა ხდება თქვენთან, ან რომელ ენაზე ფიქრობთ, აზროვნებთ?

-მე ვიცი სომხური, კარგად ვიცი რუსული და შესანიშნავად-ქართული. ვფიქრობ და ვაზროვნებ იმ ენაზე, როცა რომელზე ვსაუბრობ. რაც შეეხება სიზმარს, სიზმარს ქართულად ვხედავ!

-ტრადიციები?

-ძირითადად ქართული, მართლმადიდებლური, ზოგიერთი რამ სომხურიც, ჩემი შვილები, შვილიშვილები, ყველა მონათლულია და ნათლიების უმრავლესობა ქართველია.

-შვილები და შვილიშვილები ახსენეთ, მოგვიყევით თქვენს ოჯახზე.

-1978 წელს დავოჯახდი. ჩემი მეუღლე დავით ნერსესოვია. სოფელ სამრეკლოში (ყოფილ ჯაფარიძეში) ვცხოვრობთ. შეხმატკბილებული, თბილი და ტკბილი ოჯახი მაქვს, კმაყოფილი ვარ. ორი შვილი გვყავს: ვაჟი, პაპის მოსახელე გიორგი (ჟორიკა) და ქალიშვილი-მარინა. ჟორიკამ (ასე ვეძახით სიყვარულით) თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემების და ქსელების ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობს ფრონტერაში. ჰყავს იმერელი ცოლი, ზესტაფონიდან, ბოგვერაძე თეა, სპეციალობით ფარმაცევტია და „ავერსის“ აფთიაქში მუშაობს. სამი ქალიშვილი ჰყავთ: ანამარია, ვიქტორია და ლიზი. ანამარია სამრეკლოს საჯარო სკოლის მესამე კლასშია, ვიქტორია პირველში, ლიზი დედოფლისწყაროს მესამე საბავშვო ბაღის აღსაზრდელია. რაც შეეხება მარინას, მან ჩემი ხაზი გააგრძელა, პედაგოგია და სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში რუსულ ენას ასწავლის. სიძე დავით ხოსროშვილი გახლავთ. მათაც გოგონები ჰყავთ - ინგა და ნატალი. ინგა უკვე პირველი კლასის მოსწავლეა. ასე რომ, ხუთი მშვენიერი, ჭკვიანი და გონიერი გოგონას ბებია ვარ. ველოდები, ვინ გვაჩუქებს ვაჟს, გვიანი არცერთისთვის არ არის. ბევრი შვილი ხომ ფასდაუდებელი სიმდიდრეა!

-უფალი გფარავდეთ, ქალბატონო ვიოლეტა, ბედნიერება თქვენს ოჯახს და წარმატებები თქვენს საყვარელ საქმეში. დიდხანს ემსახურეთ ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეს.

ნაირა გორაშვილი

ჟანა ბაბაიანი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი: „ქალბატონმა ვიოლეტა დავთიანმა მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში, შეძლო დაემსახურებინა მრავალი თაობის სიყვარული და შეექმნა უდიდესი ავტორიტეტი კოლეგებს შორის. ვიოლა მასწავლებელმა ღირსეულად უპასუხა რეფორმის ყველა ეტაპის გამოწვევას და წარმატებით დაძლია ისინი. დღეს, 70 წლის იუბილარი-ვიოლეტა დავთიანი წამყვანი პედაგოგის სტატუსს ატარებს. მან ყველას დაგვიმტკიცა, რომ კვალიფიკაციის ამაღლებისა და თვითგანვითარებისათვის მთავარი მოტივაციაა და ასაკი არ წარმოადგენს ბარიერს. ვულოცავთ სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს 70 წლის იუბილეს და მადლობას ვუხდით დაუღალავი, ნაყოფიერი, სამაგალითო პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, საქმის ერთგულებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის. გვეამაყება ვიოლა მასწავლებელი და მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის მასწავლებელთა საზოგადოებამ უნდა გაიცნოს ასეთი ღირსეული, მაგალითის მიმცემი მასწავლებლები“.

პ.ს. ბევრი ვიყოყმანე, გამემხილა თუ არა, რომ ეს ოჯახი ჩემთვის ძვირფასი და პატივსაცემია. ჩემი მეუღლე, გოგი პოპიაშვილი, ვიოლეტას და დათოს ქორწილის მეჯვარე და მარინას ნათლია იყო. მე მეამაყება ისინი. თუმცა, ნარკვევის მიძღვნას და დაფასებას ამ ყველაფრის გარეშეც, უცილობლად იმსახურებენ.

როგორია წელს სატაცურის ფასი?

„მოთხოვნა იმდენად დიდია, მოსავლის რაოდენობა 100%-ით გავზარდეთ“, - ამის შესახებ სატაცურის მწარმოებელმა, კოოპერატივ „რკ ოზაანის“ ხელმძღვანელმა ჯაბა გიგოლაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, თუ გასულ წელს „ოზაანის“ სატაცური მხოლოდ თბილისის სუპერმარკეტებში იყიდებოდა, წელს სხვა დიდ ქალაქებშიც ხელმისაწვდომი იქნება.

რაც შეეხება პროდუქტის ღირებულებას, როგორც ჯაბა გიგოლაშვილი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ხარჯები გაიზარდა, ფასი არ შეცვლილა და 18-20 ლარამდე (1კგ) მერყეობს.

ცნობისთვის, კოოპერატივი „რკ ოზაანი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში 2015 წელს დარეგისტრირდა და მისი ძირითადი საქმიანობა სატაცურის წარმოებაა. ჯაბა გიგოლაშვილის ინფორმაციით, პროექტის საინვესტიციო ღირებულება, დაახლოებით, 30 000 ლარია.

„ახლა ისევ მიმდინარეობს მოსავლის აღების პროცესი, მაქსიმუმ ერთი თვე კიდევ გაგრძელდება. ზოგადად, სატაცურს ახასიათებს, რომ ყოველ მომდევო წელს უფრო კარგ მოსავალს იძლევა, თუმცა, პლანტაციების რაოდენობა გავაფართოვეთ, უფრო კონკრეტულად, მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ წარმოება 100%-მდე გავზარდეთ.

რაც შეეხება რეალიზაციას, აქამდე მხოლოდ თბილისს ვამარაგებდით, მაგრამ მოთხოვნა სხვა ქალაქებიდანაც წამოვიდა და წელს უკვე რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისშიც შედის ჩვენი პროდუქტი.

სატაცურის ღირებულება წელს არ გაზრდილა. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯი მოგვემატა, სუპერმარკეტებში პროდუქტის ფასი იგივეა, რაც შარშან, კილოგრამი 18-დან 20 ლარამდე მერყეობს“,- ამბობს ჯაბა გიგოლაშვილი.

მისივე ინფორმაციით, სამომავლოდ კოოპერატივი სატაცურის გატანას ექსპორტზეც გეგმავს.

„ამ ეტაპზე იმდენი მოსავალი არ გვაქვს, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გავიტანოთ, მაგრამ პლანტაციების რაოდენობა იზრდება, წარმოებას ვაორმაგებთ და მას შემდეგ, რაც საქართველოს სრულად ავითვისებთ, შემდეგ უკვე ექსპორტზეც გავალთ“,- აცხადებს ჯაბა გიგოლაშვილი.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

1 ივნისი დედოფლისწყაროში

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა

ბავშვთა დაცვის დღისამდი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა ხორნაბუჯის საჯარო სკოლაშიც. პედაგოგებმა: თამარ ფიროსმანაშვილმა, რუსუდან კიკილაშვილმა და სკოლის თვითმმართველობამ ულამაზესი დღე აჩუქეს მოსწავლეებს.

„ბავშვები - ეს ხომ ყველაზე ძვირფასია, რაც გაგვაჩნია! ამიტომაც აუცილებელია,მათზე ზრუნვა და შრომა იმისათვის, რომ მათი ცხოვრება იყოს რაც შეიძლება უკეთესი. პატარების ღიმილი და ბედნიერი სახეები ხომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად.

არბოშიკის საჯარო სკოლა

ბავშვთა დაცვის დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს რომ მხიარული და ბედნიერი ბავშვობა უნდა ჰქონდეს ყოველ ბავშვს!

ამ დღეს ბავშვებისთვის მრავალრიცხოვანი გასართობი და კულტურული ღონისძიება იმართება, მაგრამ ბავშვთა დაცვის დღე მხოლოდ მხიარული და გასართობი ღონისძიება არ გახლავთ - ეს არის საზოგადოებისთვის იმის შეხსენება, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა აუცილებელია, რათა ისინი ბედნიერები გაიზარდონ, ისწავლონ, საყვარელი საქმით დაკავდნენ და მომავალში თავიანთი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად გაიზარდონ.“-აცხადებს „შირაქთან“ საუბარში ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე თაკო ფიროსმანაშვილი და მუნიციპალიტეტის თითოეულ ბავშვს და მოზარდ თაობას კიდევ ერთხელ ულოცავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მშვიდობას და კეთილდღეობას უსურვებს მათ.

ზემო ქედი

ოვრო ფოტოები. გარდა ამისა, არბოშიკის ახალგაზრდული ცენტრის წევრებმა სხვადასხვა აქტივობებით გაუფერადეს ბავშვთა დაცვის დღე პატარა მეგობრებს.

ბავშვთა დაცვის დღე მხიარული სტარტებით აღინიშნა სოფელ ოზაანშიც. კულტურის ცენტრმა მონაწილე ბავშვები დააჯილდოვა. ბავშვთა დაცვის დღე აღინიშნა ზემო ქედშიც.

მშვიდობა და უღრუბლო ზეცა ვუსურვოთ მსოფლიოს ყველა პატარას!

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ოზაანის საჯარო სკოლა

* * *

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნეს ახალგაზრდული კლუბის - „იბერიას“ წევრებმა. უფროსკლასელებმა ჩაატარეს ქუჩის გამოკითხვა, მოწვეულ ბავშვებს გააცნეს ამ დღის შექმნის ისტორია და ისაუბრეს ბავშვთა უფლებების დაცვაზე. ღონისძიების დასასრულს გადაიღეს სამახს-

ახალგაზრდული კლუბი „იბერია“

ევროკავშირის ლიდერები რუსული ნავთობის იმპორტის ორ მესამედზე მეტის აკრძალვაზე შეთანხმდნენ

ევროკავშირის ლიდერები რუსული ნავთობის იმპორტზე ემბარგოს დაწესების კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ, რომელიც ნავთობის იმპორტის ორ მესამედზე მეტის აკრძალვას ითვალისწინებს.

რუსულის ნავთობის იმპორტზე ემბარგოს დაწესება არის ბრიუსელის სამიტზე დამტკიცებული სანქციების მეექვსე პაკეტის ნაწილი, რომელზეც 27-ვე წევრი ქვეყანა უნდა შეთანხმებულიყო.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის განცხადებით, სანქციები დაუყოვნებლივ აისახება რუსული ნავთობის იმპორტის 75%-ზე, ხოლო ევროპაში იმპორტირებული რუსული ნავთობის 90%-ი წლის ბოლომდე აიკრძალება.

„შეთანხმება მოიცავს რუსეთიდან ნავთობის იმპორტის ორ მესამედზე მეტს, რაც წყვეტს მისი ომის მანქანის დაფინანსების უზარმაზარ წყაროს. ევროპულმა საბჭომ სანქციების მეექვსე პაკეტზე შეთანხმებას მიაღწია. სანქციები დაუყოვნებლივ აისახება რუსული ნავთობის იმპორტის 75%-ზე, ხოლო ევროპაში იმპორტირებული რუსული ნავთობის 90%-ი წლის ბოლომდე აიკრძალება,“- განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა.

შეთანხმება კომპრომისულია და თავდაპირველად აკრძალვა არ შეეხება მილსადენებით იმპორტირებულ რუსულ ნავთობს. პაკეტის კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმება უნგრეთის პოზიციის გამო მოხდა, რომელიც ნავთობის იმპორტის აკრძალვას ეწინააღმდეგებოდა.

ევროკავშირი ასევე შეთანხმდა რუსეთის უმსხვილესი ბანკის, „სბერბანკის“ SWIFT-ის სისტემიდან გათიშვაზე, სამი მსხვილი რუსული სახელმწიფო მაუწყებლის აკრძალვასა და უკრაინაში სამხედრო დანაშაულებებზე პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე.

ევროკომისიის პრეზიდენტმა URSULA VON DER LAIENMA განაცხადა, რომ აკრძალვა წლის ბოლომდე, ფაქტობრივად, შეამცირებს რუსეთიდან ევროკავშირში იმპორტირებული ნავთობის დაახლოებით 90%-ს, რადგან გერმანიამ და პოლონეთმა აიღეს ვალდებულება, უარი თქვან მათ ტერიტორიაზე ნავთობის მილსადენით მიწოდებაზე.

„ჩვენ გვაქვს მკაფიო პოლიტიკური განცხადება პოლონეთისა და გერმანიის მხრიდან, რომ ისინი, ისევე როგორც სხვა დანარჩენები, შეამცირებენ რუსეთის ნავთობის იმპორტს წლის ბოლომდე. ჩვენ მთლიანობაში ვფარავთ რუსული ნავთობის 90%-ს, რომელიც ამ დროის განმავლობაში შემცირდება. დარჩენილია 10 ან 11%, რომელიც დაფარულია სამხრეთ „დრუჟბას“ მიერ. ჩვენ ამ დროისთვის შევთანხმდით გამონაკლისზე,“- აღნიშნა ევროკომისიის ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, ლიდერები ასევე შეთანხდნენ, იმუშაონ მექანიზმზე, რომელიც უკრაინის ახალი, 9 მილიარდ ევრომდე ღირებულების განსაკუთრებული მაკროფინანსური დახმარების პაკეტით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.



„მივესალმები რუსული ნავთობის აკრძალვაზე ევროკავშირის ლიდერების შეთანხმებას, ეს არის გარდამტეხი მნიშვნელობის გადაწყვეტილება, პუტინის ომის მანქანის პარალიზებისთვის“, - ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში, JOSEP BORELL „ტვიტერზე“ წერს.

„ჩვენი ერთობა ჩვენი ძალაა,“- აცხადებს ბორელი. შეგახსენებთ, ევროკავშირის ლიდერები რუსული ნავთობის იმპორტზე ემბარგოს დაწესების კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ, რომელიც ნავთობის იმპორტის ორ მესამედზე მეტის აკრძალვას ითვალისწინებს. თავდაპირველად აკრძალვა არ შეეხება მილსადენებით იმპორტირებულ რუსულ ნავთობს. პაკეტის კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმება უნგრეთის პოზიციის გამო მოხდა, რომელიც ნავთობის იმპორტის აკრძალვას ეწინააღმდეგებოდა.

საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ 13.3% შეადგინა

2022 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.3 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

„საქსტატის“ ცნობით, რაც შეეხება საბაზო ინფლაციას , აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის მაისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.7 პროცენტით განისაზღვრა.

„ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6.2 პროცენტიანი მატება, რაც 0.64 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე (20.6 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (0.3 პროცენტი); სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.8 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.19 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (13.0 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (4.8 პროცენტი), თევზეული (1.8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (1.6 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (1.2 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველის და კვერცხის ქვეჯგუფზე (-4.5 პროცენტი); ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.3 პროცენტით, რაც 0.08 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაზრდილია როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე (2.0 პროცენტი), ისე თამბაქოს ნაწარმზე (0.3 პროცენტი)“, - ნათქვამია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება წლიურ ინფლაციას, „საქსტატის“ ცნობით, მის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 22.0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 6.88 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (51.1 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (34.5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (23.5 პროცენტი), ხილი და ყურძენი (23.3 პროცენტი), თევზეული (19.4 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (17.7 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (16.8 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (16.0 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (15.4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (9.6 პროცენტი).

„ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 20.0 პროცენტით, რაც 2.42 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (25.2 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (12.9 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3.0 პროცენტი); საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 16.1 პროცენტიანი მატება, რაც 1.67 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 5 www.geostat.ge info@geostat.ge 03.06.2022 ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე (28.2 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (13.6 პროცენტი), ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (11.2 პროცენტი)“, - აღნიშნულია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მონატრება

ვაჟა მჭედლიშვილი

7 ივნისი შენი დაბადების დღეა, 68 წლის გახდებოდი. აქედან 42 წელი ერთად გავატარეთ. სიყვარულის ნათელი მაგალითი იყავი შენი ოჯახისთვის. უზომოდ მშრომელი, სიკეთით სავსე და ხალისიანი კაცი. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი ორივე რაიონისთვის.სიღნაღის რაიონში დაბადებული, დედოფლისწყაროშიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდი.

აქტიური, პოზიტიური და სიცოცხლით სავსე იყავი და ვალმოხდილიც წახვედი შენი ოჯახისგან იმქვეყნად. როგორი გაუსაძლისია შენი სიკვდილი, ჩემო ვაჟა. ჩემთვის ცხოვრება დაცარიელდა უშენოდ. ყველგან სიკეთეს და სიყვარულს აფრქვევდი, მუდამ შენს ოჯახს ეფერებოდი და ზრუნავდი. ამ ქვეყნიდან სწორედ მაშინ წახვედი, როდესაც უნდა გაგეხარა შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უზომოდ მენატრები. სულ შენს მოლოდინში ვარ, მაგრამ ამაოდ. ასე რატომ დამსაჯე, მე ხომ ვაჯკაცურად გედექი გვერდში. დაბადების 68-ე წლისთავს გილოცავ იმქვეყნად, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოხცლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო.ქარს გაჰყვა ყველა ჩვენი ოცნება. სიცოცხლეს სხვადასხვა სამყაროში ვაგრძელებთ, მაგრამ იმედი მაქვს, კიდევ ვიქნებით ერთად უსასრულოდ. ნათელში იყავი, ჩვენო მონატრებულო ვაჟა, კარგო მეუღლევ, მამამ და პაპავ. სულ მუდამ გვემახსოვრები. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე მაყვალა ლაკიაშვილი;
შვილები: დიმა, ხათუნა მჭედლიშვილები ოჯახებით.

მეუღლე ნელი სესიტაშვილი; შვილები: ნანა,ზაზა; შვილიშვილები: ერეკლე, თეკლა, ნუცა, ლიზი; შვილთაშვილი ზურაბი; სიძე ზურაბ ნაცვლიშვილი, რძალი ქეთევან ქოქაშვილი იუწყებიან

მურთაზ შალვას ძე ნატროშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 31 მაისს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

ნიაზი ჯანაშვილი და ნელი ნატროშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნელი სესიტაშვილს მეუღლის, ნანა და ზაზა ნატროშვილების ოჯახებს მამის

მურთაზ ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

ვანო, ეთერ, ინგა და ირმა შიოლაშვილები იუწყებიან მეზობლის

თენგიზ ლაკიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს თამარს, შვილებს-მამუკას და გოგას.

მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს!

/დასაწყისი გვ.3/

გაიელვა ბავშვებს შორის. ეს ჟრიამული ნამდვილად ღირდა სანახაობად. კულტურის ცენტრის წარმომადგენლებმა მათ შეუზღუდავი თავისუფლება და თემატიკა შესთავაზეს, თემა თავისუფალი იყო. უმეტესობამ გაზაფხულის თემატიკა აირჩია, ზოგმა თავისი სურვილი დაწერა, ზოგმა უკრაინელ ბავშვებს გამოუცხადა თანადგომა, ზოგმაც მსოფლიოს ბავშვების ერთიანობა ისურვა და ხელჩაჭიდებული ბავშვების წრე დახატა, სადაც ყველა თანაბარია.

მზემ უკვე მთებს იქეთ ჩასვლა დაიწყო, როცა კულტურის სახლის ეზო

სხვა ჟრიამულმა აავსო. დედოფლისწყაროს მოსახლეობამ დაანონსებულ საბავშვო კონცერტზე მისვლა დაიწყო. მათ პატარებს ხომ უამრავი სიურპრიზი ელოდათ: სხვადასხვა ზღაპრის გმირები, დრამერები, ანიმატორები, უამრავი ფერადი ბუშტი და სახალისო გარემო. მსვლელობას, რომელიც დრამერებმა მოაწყვეს, დიდი თუ პატარა ერთნაირი მხიარულებით შეუერთდა. მსვლელობა ისევ კულტურის სახლის ეზოში დასრულდა და სწორედ ამით დაიწყო პატარ-პატარა „ჭიამაიების“, „კვატების“, „წიწილების“, „გვირილების“, „იების“ გამოსვლა სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე, რომელსაც ხან მარინა ცინცაძის „ვარსკვლავური“ გოგონები ენაცვლებოდნენ, ხან ვარსკვლავური წამყვანი გიორგი ჯალაღონია, და ხანაც „გატაცებული“ ანიმატორები, რომლებმაც ისეთი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვიეს პატარებში, რომ მათ სცენაზე დაბრუნებას ხშირად ღონისძიების წამყვანიც კი ვერ ახერხებდა.

ღონისძიება ტრადიციული რიტუალით დასრულდა: ბუშტების გაშვებითა და სურვილების ჩაფიქრებით, იმ ლაღი და გულუბრყვილო სურვილების, რომლებიც მხოლოდ ბეეეეევრი სათამაშო მანქანისა და თოჯინის სახლის ქონით შემოიფარგლება. თუმცა, სურვილი სურვილია, რაც უნდა პატარა ან დიდი იყოს ის. განსაკუთრებით, თუ ის ბავშვთა სურვილებია. ბავშვები - ეს ხომ ყველაზე ძვირფასია განძია! მათზე ზრუნვა ჩვენი მოვალეობაა.

წამყვანმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს: დედოფლისწყაროს მერს **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, საკრებულოს თავმჯდომარეს **ნუგზარ პაპიაშვილს**, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს **თამარ თამაზაშვილს**, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს **ილია მარტყოფლიშვილს** ამ დღის ორგანიზებულად და პროფესიონალურად ჩატარებისთვის.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს სრულიად საქართველოს პატარებს ბავშვთა დაცვის დღეს. მათთან ერთად კი აუცილებლად ვუსურვებთ მშვიდობას, ერთიან ქვეყანაში და ულრუბლო ცის ქვეშ ცხოვრებას ჩვენი მეგობარი ქვეყნის, უკრაინის ბავშვებს, რომლებიც დღეს იბრძვიან გადარჩენისთვის. „სანამ ბავშვები იტანჯებიან, სამყაროში ჭეშმარიტი სიყვარული ვერ იარსებებს...“ - ეს არის უმთავრესი რამ, რაც ყოველ დღე უნდა გვახსოვდეს. იმედია, მათთვის ეს მძიმე დღეები მალე დასრულდება და შეძლებენ სიხარულით, სიყვარულით, მოციმციმე თვალებითა და ლაღი სიცილით ცხოვრების გაგრძელებას.

სიყვარული და მშვიდობა ვუსურვოთ მათ და სრულიად მსოფლიოს ბავშვებს!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ზურაბ პოპიაშვილს!

1972 წლის1 ივნისს შენ დაიბადე და ზუსტად 50 წელია, დღენიადაგ უფალს ვევედრები, მყავდე ჯანმრთელი და ბედნიერი შენ, ჩემო პირველო სიხარულო, რომელმაც დამარქვი „დედა“. ენით აღუწერელია ის სიხარული, რომელიც შენმა ამქვეყნად მოსვლამ მომანიჭა და ასე მგონია, სულ რაღაც გუშინ, გუშინწინ იყო ეს დღე...ნახევარი საუკუნის შემდეგაც არ მტოვებს ის განცდა და გულს სიამით მივსებს. მადლობა, იმედი რომ არ გამიცრუე, კარგი შვილი და კარგი ადამიანი გამოხვედი... გილოცავ, ჩემო ზურა დაბადების საიუბილეო 50 წლისთავს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, გაიხარე შენს საყვარელ მეუღლესთან, ნატალისთან და შენს ერთასთან-გიორგი პოპიაშვილ უმცროსთან ერთად. უფალი იყოს შენი შემწე!

სიყვარულით, დედა - ნაირა გორაშვილი

გ ა ს წ ო რ ე ბ ა !

გაზეთ „შირაქის“ გასულ, №18 ნომერში, გვ.5-ზე, დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით: „აბროტურიზმი სოფლად და სამუშაო ადგილების შექმნა“. წინადადებაში „შეხვედრის დასასრულს არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორმა მაია ალადაშვილმა და ტრენინგში მონაწილეებმა მოწვეულ სტუმარს ნაყოფიერი ტრენინგის ჩატარებისათვისა და საინტერესო რჩევებისთვის მადლობა გადაუხადეს“ - „მაია ალადაშვილის“ ნაცვლად უნდა ეწეროს „მაია ლამაზოშვილი“. გაზეთი „შირაქი“ ბოდიშს უხდის მკითხველს შექმნილი უხერხულობის გამო.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 06.06		სამშაბათი 07.06		ოთხშაბათი 08.06		ხუთშაბათი 09.06		პარასკევი 10.06		შაბათი 11.06		კვირა 12.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
32°	17 °	29°	15 °	27°	15°	27 °	15°	28 °	15 °	27°	15 °	26 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.